

ქაბლისწერა ქუის-არბნისის კრებისა*
(1103 წ.)



ეგლისწერაჲ წმიდისა და იმრთიჲ
შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი
შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მს-
ახურისა და იმრთიჲ დაცვულისა მე-
ფისა ჩუენისა **წავით წგნაზთა და ჟართველთა,**
ქანთა და ჯანთა მეფისაჲთა, პირთათჳს, რო-
მელნი ქუემო მოჴსენებულ არიან.

ყოვლისავე ხილულისა და უხილავისა სოფ-
ლისა და ყოველთავე საცნაურთა და გრძნობად-
თა ბუნებათა არაარსისაგან არსებად მომყვანე-
ბელმან იმერთმან უხილავთა მათ და ზესთა
სოფლისათა ძალთა ბუნებაჲ უკუდავებითა და
უხრწნელებითა შეამკო, ხოლო ქუენაჲსა ამის
სოფლისაგანნი ყოველნი ქმნისა და ხრწნილები-
სა შორის განაწესნა. **წმისსა** შემდგომად მოი-
გონა ახალი რაჲმე და უცხოჲ დაბადებული, რო-
მელსა თვთ შის **ძავადისაცა** **წამბადებელისა,**
და სიტყვერისა და პირუტყვსა და ყოვლისავე
აგებულისა ბუნებისა ზიარებაჲ თავსა შორის
თჳსსა მოაქუნდეს და მის მიერ ვითარცა საზო-
გადოჲსა საკრველისა მიერ შეერთებად იმრთი-
სა შემოკრებოდინ ყოველნი დაბადებულნი და
თანად ხუთნივე სახენი ყოველთა არსთა განყო-
ფილებისანი დაიწსნებოდინ, რომელი ვითარცა
მეორე რაჲმე სოფელი, მცირე დიდსა შინა, ანუ
დიდი მცირესა შინა დაადგინა ქუეყანასა ზედა,
იმრთიჲ შუენიერი იგი და დიდებული სამოთხე
დაასხა აღმოსავალსა **წდემისასა.**

წარნა ვინაჲთგან მან ნივთად თვთმფლო-
ბელობისა მიცემული მისდა სჯული წინაუკუ-
მოდ საღმრთოჲსა ნებისა იჴუმია, და შურითა
ეშმაკისაჲთა და განმცდებლობითა დედაკაცი-
საჲთა ცთომილი ძელისა მისგან ცხორებისა და
სამოთხისა და იმრთისა სიბოროტისათჳს ექსო-
რია იქმნა და სიკუდილითა და ხრწნილებითა
დასჯილი ბევრეულთა ვნებათა და ძვრთა მიერ
უფლებულ იქმნა. ქამეთუ პირველად სისხლთა
მიერ ძმისათა მენამულმყოფელმან ჴელთამან

ჯიან კუალად მეორისა იმრთისამიერისა წყევი-
სა თანამდებყო ქუეყანაჲ. შერმე სიბოროტემან
გმირთამან შენანებაჲ არწმუნა **წამბადებელსა**
უცხოჲსა მის ცხოველისა კაცისა ესოდენ სა-
კრველებით დაბადებისაჲ და წყლითა რლუნ-
ისაჲთა აღვოცაჲ ყოვლისა აღმდგომისაჲ პირი-
საგან მიწისა.

წმისსა შემდგომად სილაღითმან ჴელ-ყო-
ფამან გოდლის მაშენებელთამან შერევნითა
ენათაჲთა და მიმოდაყოფითა ნათესავთაჲთა
მეოთხედ დასაჯა ნათესავი კაცთაჲ. ღოლო
გამოჩინებამან კერპთა სიბოროტისამან და
ნაცვალად **წამბადებელისა** მსახურებამან დაბ-
ადებულისამან სრულიად განაშორა და უცხო-
ყო კაცი შემოქმედისა იმრთისაგან. შერმე ლა-
ღებამან **სოდომელთა** სიბილწით სლვისამან
წუნწუბასა თანა აღრეულითა ცეცხლითა მოწუ-
ვად აიძულა სოფლები **ქუთქალაქისაჲ.** ჴუალად
გულფიცხელობასა **წარაოჲსსა** და უსახურება-
სა **წეგვტელთასა** უცხოთა მძლავრებათათჳს
უცხოჲ მიეგო მისაგებელი და გუჲმთა მათთა
უცხოდ დამმარხველი საფლავები.

წმისსა შემდგომად დიდი **შოსე,** შჯული,
მღდელობაჲ, მსხუერპლნი, სალხინებელნი თი-
თოსახენი, მსაჯულნი, მეფობაჲ, წინანარმე-
ტყუელებაჲ, ყოფადთა წინანარი ცნობაჲ, სახის
შეცვალეებითნი იმრთის გამოცხადებანი. შე-
რმეცა კუალად კერპთმსახურებაჲ, თვთ მის
შოსეს მიერ **წგვტით** გამოყვანებულისა და
სჯულდებულისა და ესოდენთა პატივთა ღირ-
სქმნულისა, და პირმოდ ძედ აღსაარებულისა
ერისაჲ. წმისსა შემდგომად კუალად მძლავრე-
ბაჲ, კუალად ტყუეობაჲ მრავალგზის მრავალ-
თა ნათესავთა და უკუანაჲსკენელ **წაბილოვნე-**
ლთამიერი, რომელთა მეფისა იმრთის წინააღ-
მდგომსა მოგონებასა საქმით ამხილეს სამთა
მათ ჴაბუკთა **წსრაიტელთა,** რაჴამს საკრველ-
თა რკინისათა განმღეველმან საჴუმოლმან შე-
უხებელად დაიცვნა მათნი ადვილად განსა-

* დიდი სჯულისკანონი, დასაბუჴდად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაჴიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975. გვ. 543-559.

ლევნელი თმანი და შესამოსელნი. შერმეცა კუალად ქალაქი და ტაძარი, კუალად სჯული და მღდლობა. შა რაოდენნი-რაჲ იყვნეს სჯულისანი და საკრველისა მის სჯულიერისა მსახურებისანი, გარნა ვერცა ერთი რაჲ პირველთქუმულთა ამათგანი შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებისა, გინათუ მტანჯველობითა და სამინელებათა, ანუ ქველისმოქმედებითა სიტკბოებათაგანი, რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყვნეს, ბუნებითა ვიტყვ და დანერილსა, და უძლიერესი საწმარ იყო წამალი საღმობათათს უბოროტესთა.

შმისთეს, თვთგუამოვანი იგი სიბრძნე და ძალი და თანაარსი იმრთისა შამისა სიტყუად, ჯომელი დასაბამად იყო და იმრთისა თანა იყო და მარადის იყო, მოვიდა ხატისა ძესისა და უხრწნელთა მათგან და ყოვლად უბინოთა სისხლთა ჭეშმარიტებით და საკუთრად იმრთისმშობელისა მარადის ქალწულისათა ჯორცნი შეიმოსნა ჯორცთათეს, და სულსა გონიერსა და სიტყვერსა შეეზავა სულისათეს ჩუენისა მსგავსითა მსგავსსა განწმედად, რამეთუ მიუღებელი უკურნებელცა არს, და ძესისა ქმნულისა წილ ძვთ მიითულა ბრძოლად. შა ესრეთ ყოველივე ჯორცთამიერი განგებულებად ჯუარისა თანა ვნებათა საფლავსა და იმრთივე შუენიერსა წლდგომასა სრულ-ყო რაჲ ქუეყანასა ზედა, დიდებით აღმავალმან ზეცად წარავლინნა ათორმეტნი მონაფენი ძესნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა, რაჲთა იმრთის მეცნიერებისა ნათლითა ყოვლით კერძო სოფლისაჲთ განჯადონ ბნელი უღმრთოებისაჲ და სახელისა მიმართ წმიდისა სამებისა ნათლისცემითა, ასწაონ თაყუანისცემად თანაარსისა წრთღმრთეებისაჲ და დამარხვითა საცხორებელთა მცნებათაჲთა კუალადაგნენ კაცნი პირველსავე ნეტარებითა დიდებასა.

წსენი ვითარცა შარავანდედნი შზისა მის სიმართლისანი განეფინნეს რაჲ კიდეთა ქუეყანისათა, ყოველი ნივთი კერპბორგნეულისა უღმრთოებისაჲ მახვლითა სულისაჲთა მოჭრეს და ცეცხლითა სარწმუნეობისაჲთა მოწუეს და ერქუნითა ჯუარისაჲთა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი და დასთესეს მათ შორის თესლი კეთილად მსახურისა სარწმუნოებისაჲ და მხოლოჲსა და ჭეშმარიტისა იმრთისა მსახურებითი თაყუანისცემად მრავალთა და სიცრუვით მოპოვნებულთა ღმერთთა წილ იმრთივე შუენიერებით ასწავეს და საკერპოთა

მათ წილ ტაძართა და ბომონთა სიმრავლენი ეკლესიათა და საკურთხეველთანი აღუმართნეს იმერთსა ყოვლით კერძო ქუეყანისაჲთ და სიძულილი სოფლისაჲ და მტერობაჲ ჯორცთაჲ რწმუნებით ასწავეს მათ, რომელთა-იგი იმრთად შეერაცხა სოფელი და ჯორციელთა გემოთა მძლავრებისაჲა მონად მიეცნეს თავნი და განცოფებული იგი სიბრძნე **წლლენებრისა** სირქურისა ვიეთისაჲმე სიმარტივითა იმრთივე სწავლულისა მათდა სიბრძნისაჲთა, რომლისათეს იგი **საველეს** ჰბასრობდეს **წთინელნი**, ყოვლად სიბრძნით მხილებულ ყვეს და არცა ერთისა სიტყვსა ღირსად გამოაჩინნეს მათნი იგი ზღაპართმწერლობითნი ჯელოვნებანი. შა დიდისა **ხლომინტოსის** მიერ დასხნეს კანონნი საეკლესიონი, რიცხვთ ოთხმეოცდახუთნი.

ჯომელთაგანი ერთი პირველწოდებული **წნდრია**, ძმაჲ თავისა მოციქულთაჲსა **სეტრესი**, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველსა ქუეყანასა **საქართველოჲსა** და ურიცხვნი სიმრავლენი ერთანი განაშორნა საცთურისაგან მრჩობლ ეშმაკეულებისა და ერთისა იმრთისა და ჴრისტეს შისისა თანაარსით შათით სულითურთ რწმუნებით თაყუანისცემად ასწავა, დაღათუ უმრავლესმან ერმან **ქართლისამან** სიმრავლესა შინა ჟამისასა დაივიწყა ქადაგებაჲ იგი მოციქულისაჲ და საცთურისავე მიმართ კერპთაჲსა მიაქცია. შმათისა ქადაგებისა ნაყოფად აღმოეცენნეს ყოვლით კერძო ყოვლისა სოფლისაჲთ სიმრავლენი ღუანლისა დამდებელისა ჴრისტეს სიკუდილსა მიმსგავსებულთა მონამეთანი, ვინაჲთგან სამასნი მცირედთა სხუათა თანა ვიდრე მეფედ ქადაგებადმდე დიდისა **ხოსტანტინესსა** შორის გარდაჯდეს წელიწადნი, რომელი-იგი პირველად ჴრისტეანე იქმნა მეფეთა შორის და თვთ მოციქულ და ქადაგ საცხორებელისა ქადაგებისა და ნათელსა თავისუფლებისასა მიმეფენელ ჴრისტეანეთა იმრთივე შუენერისა მოქალაქობისა.

შმისთავე უკუე ჟამთა სრულიად მომხედნა ჩუენცა აღმოსავალმან მალლით და დედაკაცი-სა ვისმე მიერ ტყუექმნულისა, რომელსა-იგი **წუნად ჰაპჰადუკიელად** აქა სადმე პოვნილნიცა ქადაგებენ წიგნი საეკლესიოთა მოთხრობათანი, სარწმუნოებისა მიმართ თესისა მიიზიდა ყოველი სავსებაჲ ყოვლისა **ქართველთა** ნათესავისაჲ, საკრველთმოქმედებითა ნიშებშემოსილთა სასწაულთაჲთა, რაჟამს-იგი

ქართველთა მეფემან **შირიან** მეფეთა შორის დიდისა **ხოსტანტინესა** მივლინებითა და მისგან გამოთხოვითა მეფობისა თვისისა, ქალაქად **შცხეთად** შთამოიყვანა **ვსესტათი** დიდი საყდრისმპყრობელი **სნტიოქელთა** ეკლესიისა და წმიდათა მიერ ჯელთა მისთა ნათელ-ილო მან და ყოველმან ერმან **ქართლისამან**. ნათვთ პატრიაქთა შორის სახელგანთქუმულმან **ვსესტათი** ჯელითა თვსითა შთადვა საფუძველი მაშინ სადმე **შცხეთას** აღშენებულისა ეკლესიასა, რომელიცა ფრიადისა თანა გულსმოდგინებისა განასრულეს რაჲ მათ, განწმიდა იგი და ჯელთდასხმულ-ყო მას შინა მათვს ეპისკოპოსი-კათოლიკოსი.

სმან საუკუნოდ ჯსენებულმან მეფემან **ხოსტანტინე** შეკრიბა პირველი და მსოფლიო-წმიდაჲ ღრებაჲ **ჩიკეას** სამას ათრვამეტთა წმიდათა მამათანი, რომელთა დასხნეს კანონნი რიცხვით ოცნი, რომლისა პირველად ქმნილ-იყვნეს სხუანიცა ადგილობითნი ღრება-ნი, პირველი **სნკვრიას**, რომელსა დაესხნეს კანონნი ოცდაოთხნი, მეორე **ჩეოკესარიას**, დამსხმელი კანონთა ათოთხმეტთაჲ, ხოლო შემდგომად დიდისა მის და მსოფლიოჲსა ღრებაისა სხუანიცა იქმნეს ადგილობითნი ღრება-ნი, ვითარ-იგი **იანგრისაჲ**, რომლისა კანონნი არიან ოც და კუალად **სნტიოქიისაჲ**, დამსხმელი კანონთა ოცდახუთთა, ამათ თანა **ზაოდიკიისაჲ** **ფრიგვისაჲ** და კანონნი მისნი ოცდაერთნი. სმათსა შემდგომ მეორე წმიდაჲ და მსოფლიოჲ ღრებაჲ **ხოსტანტინოპოლის** ას ერგასისთა წმიდათა მამათაჲ, რომელთა კანონნი არიან რიცხვთ შვდ. შერმე მესამე **ვფესოჲსა** წმიდაჲ და მსოფლიოჲ ღრებაჲ მცირისა **ძე-ვდოსის** მეფისა მიერ შეკრებულნი, რომელმან დასხნა კანონნი რვანი. შერთხე **ქალკიდონს** ექუსას ოცდაათთა წმიდათა მამათაჲ მსოფლიოჲ ღრებაჲ კეთილად მსახურისა **შარკიანე** მეფისა მიერ შემოკრებული და განმანესებელი კანონთა რიცხვთ ოცდარვათაჲ. შერმე ადგილობითი ღრებაჲ **ჰართაგენისაჲ** და კანონნი მისნი ასოცდაათრვამეტნი.

ხოლო მეხუთემან წმიდამან და მსოფლიომან **ხოსტანტინოპოლის** შეკრებულმან ღრება-მან მცირედ იზრუნა საეკლესიოთა კანონთა განწესებისათვს. სრამედ მეექუსემან წმიდამან და მსოფლიომან ღრება-მან **უსესტინიანეს** ზე კეთილად მსახურისა მეფისა **სუმბადსა** შინა სამეუფოჲსა პალატისასა შეკრებულმან

ალავსო დაკლებული მისი, რამეთუ დასხნა კანონნი რიცხვთ ას და ორნი. ჟუალად **ჩიკიისა** მეორემან წმიდამან ღრება-მან დასხნა კანონნი ათრვამეტნი. სმისსა შემდგომად არიან სხუანიცა ორნი მასვე სამეუფოჲსა ქალაქსა ეკლესიასა შინა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთასა შეკრებულნი ღრება-ნი, რომელთა განუჩენიან კანონნი რიცხვთ ათშვდმეტნი. ხოლო წმიდასა და მეშვდესა წმიდათა ხატთათვს შეკრებულსა მსოფლიოჲსა ღრებასა განუწესებია-ნი კანონნი რიცხვთ სამნი ოდენ.

სმათ წმიდათა ღრებათა მიერ განჩინებულთა კანონთა თანა არიან სხუანიცა თითოეულთა მამათა მიერ განწესებულნი და თანაალ-
15 რაცხულნი კანონნი:

ბიონესიოს სლექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა კანონნი ოთხნი;

სეტრე სლექსანდრიელთა მღვდელთმთავრისა და მონამისა კანონნი ათხუთმეტნი;

20 **სრიგოლი** ეპისკოპოსისა **ჩეოკესარიელისა** **საკვრველთმოქმედისა** ეპისტოლე კანონიანი; **ბიდისა ბასილის** კანონნი ოთხმეოცდახუთნი;

შისივე ეპისტოლე კანონიანი **ბიოდორეს** მიმართ;

25 შისივე ეპისტოლე კანონიანი **სრიგოლის** მიმართ ხუცისა;

შისივე ეპისტოლე კანონიანი ხორეპისკოპოსთა მიმართ;

30 შისივე ეპისტოლე კანონიანი მისქუეშეთა ეპისკოპოსთა მიმართ;

შისივე **სმფილოქეს** მიმართ სულისა წმიდისათვს მიწერილთა მათ თავთაგან;

სრიგოლი ჩოსელისა კანონნი რვანი;

35 **ქიმოთე სლექსანდრიელისა** კანონნი ათხუთმეტნი;

ფილოთეოს სლექსანდრიელისა იმრთის გამოცხადებისათვს თქუმულისაგან;

შისივე სხუანი კანონნი ათნი;

40 შისივე ეპისტოლე **სფიგიონის** მიმართ ეპისკოპოსისა;

შისივე ეპისტოლე **სგათონის** მიმართ ეპისკოპოსისა;

45 შისივე ეპისტოლე **შინაჲს** მიმართ ეპისკოპოსისა;

ჰვრილე სლექსანდრიელთა მთავარეპისკოპოსისა კანონნი შვდნი;

სენნადი წმიდისა პატრიარქისა **ხოსტანტინეპოლელისა** და მის თანა წმიდისა ღრებაისა

ეპისტოლე მიტროპოლიტთა მიმართ გარემო-
თა სამთავროთადასა.

ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლე-
სიოთა კანონთანი დაბეჭდულნი და დამარხ-
ულნი თვნიერ ყოვლისა შემატებისა და მოკ-
ლებისა და ამათი მეცნიერება და შედგომა და
მტკიცედ პყრობა უჴმს ყოველთა წინამძ-
ღუართა ჴრისტეანობითისა მადიდებლობი-
სათა მღდელთმთავართა და მღვდელთა და
დიაკონთა და ჩუენ შორის მოძღურად სახელ-
დებულთა მათცა მონაზონთა და ერთბამად
ყოველსა საესებასა მართლმადიდებელთა
ესკლესიისასა. ღლო ჩუენ ესე ამისთვის მოვი-
ესენენით, რათა პირველითგან პირი სიტყვსა
ჩუენისა განვჴმარტოთ.

წინათგან დაჴბადა იმერთმან დასაბამსა
ხატებად და მსგავსებად ჴესსა კაცი, ვითარცა
პირველ ვიტყოდეთ, რათა მის მიერ ვითარცა
საზოგადოება საკრევისა მიერ ხილულთა და
უხილავთადასა თავსა თესსა შეაერთნეს ყოველ-
ნი საცნაურნი და გრძნობადნი დაბადებულნი,
სათნოებით რაჲ საკუთარ ექმნას იგი ჴემო-
ქმედსა თესსა, ხოლო იგი ეგევითარისა მის
მადლთა სიმდიდრისაგან განშიშულდა ცთომი-
სა მის მიერ და განდგომილთა და რისხვეულთა
მონათა მონება მოატყუა თავსა. წრამედ არა
სახიერმანცა წამბადებელმან მისმან, რამეთუ
ვითარცა თავს-იდვა უგულვებელს-ყოფად
ესოდენისა ჴელთა შისთა საქმისაჲ, რომელ
არს კაცი, არამედ უხრწნელსა შინა საშოსა
ყოვლად წმიდისა იმრთისმშობელისა და მა-
რადის ჴალწულისასა არლარა პირველისაებრ
იჴესა მადლით, არამედ გუამოვნებით შეაერთა
იგი თავსა ჴესსა და ჴესთა ბუნებისა განალმ-
რთო მის მიერ მიღებული იგი და მის თანა
ერთგუამქმნილი კაცი და რომელი-იგი იყო
პირმშოჲ ყოვლისა აგებულისაჲ, თავს-იდვა
პირმშო მრავალთა ძმათა შორის ყოფად, რა-
თა სახელისა შისისა მიმართ წოდებულნი და
მადლით ძმად შისსა აღსაარებულნი, რომე-
ლი-იგი ყრმათაცა ეზიარა ჴორცილთა და სისხ-
ლითა და გუამად ერთისა მის ყოველთა თავ-
ისა გამოჩინებულნი მუნ აღმიყვანნეს კუალად
განჴორციელებითა ჴესითა, სადა-იგი ჴვთ
არს თავი სასოებისა ჩუენისაჲ; და თანამოქა-
ლაჲე მყენეს წმიდათა და სახლეულ იმრთისა
და სამკვდრებელად შისსა გამომაჩინნეს სუ-
ლითა, რაჴამს ჴავისა მიმართ შემოკრბეს თი-
თოეულებაჲ ასოთა განყოფილებისაჲ და თბისა

მიმართ გარდანივითოს ვითარებაჲ ყოვლისა
აღსუარულისაჲ.

წინაჲცა ამისთვის მოგუეცნეს პირველად
ბუნებითი და მერმე დანერილი სჯული, ამი-
სთვის იქმნა განკაცებაჲ იმრთისაჲ, ამისთვის
– ჴალწულისაგან შობად, ბაგად, წარგრაგნად,
წნგელოზნი მადიდებელნი, ვარსკულავი-
სა სრბად, მოგუთა ძღუნისმომრთუმელობად,
წინადაცუეთად, ნათლისღებაჲ, ჴეცით წამებაჲ,
განცდაჲ, ქოლვაჲ ჩუენთვის და ვნებანი უვნე-
ბელისანი, განცემაჲ, შემსჭუალვაჲ, დაფლვაჲ,
აღდგომაჲ, აღსლვაჲ ჴეცად, ამისთვის – ქად-
აგებანი მოციქულთანი, სისხლი მონამეთანი,
სწავლანი მოძღუართანი, ოფლნი ღირსთა მა-
თანი, გულსმოდგინებანი კეთილად მსახურ-
თა და მორწმუნეთა მეფეთანი, წადიერებანი
იმრთისმოყუარეთა მთავართანი, კადნიერე-
ბანი იმრთის სახისა მღდელთმთავრობისა
რწმუნებულთანი წინამბრძოლისა თესისა თა-
ნა, სიმწნით თანამბრძოლებანი მღდელთა და
სამღდელთანი, ცოდვისა მიმართ სიმწნით
წინაგანწყობანი ნივთთაგან განშიშულბული-
სა მონაზონთა დასისანი და მათ თანა ერთჴ-
მობანი ჴრისტეს მოყუარისა ერისანი.

წმისთვის იქმნნეს ჴრისტეს მოყუარეთა და
იმრთივ დაცვულთა მეფეთა მიერ ჴამად-ჴა-
მადნი ჴრებანი იმრთისმოყუარეთა ეპისკო-
პოსთა და იმრთისა სათნოყოფილთა მამათანი,
რათა საქმეთა მიერ განსრულებულითა სარწ-
მუნოებითა შეაერთნეს იმერთსა ჴრისტეანე-
ნი, რომელთასა კეთილად ებადჲ შურსა ჩუენ-
იცა ესე გვრგვნოსანი მრჩობლ მარჴუენე და
შეყუარებული გვრგვნი თავისაჲ და სასურველი
ჲე წავით, რომელი-ესე ერთბამად მწენცა არს
და ბრძენ, მართალ და წმიდა, იგივე მყუდრო-
ცა და მშჴდ, სახიერ და ტკბილ, მონყალე და
ძვრუესენებელ და მიმსგავსებულ სახიერებასა
იმრთისასა, ჴომელი აღმოუბრწყინვებს მზესა
კეთილთა და ბოროტთა და ჴრდის ყოველთა
წმითა სწორებით. ესე წინაჲთგან გარეშეთა
ბრძოლათა შინა წინადაუდგომელობით უბ-
რძოლელ და გარეშისა სახისა ქმნულებითა
სხუათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელ
იყო, რამეთუ კეთილ დიდ არს ვითარცა გმირი,
შუენიერ არს ვითარცა სიძე, ბრწყინვალე არს
ვითარცა ცისკარი, ნაყოფიერ არს კეთილთა
მიერ ვითარცა აღმოსავალი, ყუავილოვან
წარმატებათა მიერ ვითარცა სამოთხე იმრ-
თისაჲ. წრა თავს-იდვა, რათა არა უმეტეს

მოლუაწე იქმნეს განბრწყინეებად შინაგან-
თაცა სიკეთეთა სულისათა, ვინაფთგან იგინი
წარმდინარ, ხოლო ესენი დაუსრულეებლობასა
თანა იმრთისასა თანადაუსრულეებელ არიან.

შმისთვს შემოკრბა ზრებად იმრთისმოყუ-
არეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღდელთა
და ღირსთა დიაკონთა, ჴრისტეს მოყუარეთა
მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა,
სანახებთა **ჴართლისათა** მახლობელად ორთა
საეპისკოპოსოთა **ჴუისა** და **ორბნისისა**. ჴარ-
ნა არათუ უბიწოებასა **ჴართველთა** სარწმუ-
ნოებისასა ბინი რაფმე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ
ესე! **სრა** გეცრუვნეთ შენ, სინმიდით მშობელო
ჩუენო კათოლიკე **სკლესიო**, არცა განგცეთ
შენ, სიქადულო ჩუენო **შართლმადიდებლო**-
ბაო, რომლისა არცა განმცემელქმნილ ვართ,
ვინაფთგან შემეცნებასა შენსა ღირსქმნილ ვართ
– მონამე არს **სეშმარიტება**. **სრამედ** სხუათა
საეკლესიოთა და სამღდლოთა და საჴრისტე-
ანოთა ძიებათათვს, რომელთა თავ და წინამძ-
ღუარ და პირ წმიდისა მის კრებისა იყო იმრ-
თისა მიმართისა საკუთრებისა თანა სიმშვი-
თაცა სულისაფთა მიმსგავსებული **შოსესი** და
მსგავსად დიდისა **სამოელისისა** წინამლოცველი
ერისად და მცხებელი მადლით სრულყოფად-
თა **სოანე** ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპო-
სი-კათოლიკოსი და ყოვლისა **საქართველო**სა
დიდი მამათმთავარი, და მის თანა სიმრავლე
პირველწესენებულთა მათ სავსებისა.

1. **სა** პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ
ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღდელთმ-
თავრობისასა და უღირსნი ჴრისტეს პირველი-
სა მის მწყემსთმთავრისანი, განგკუეთენით და
უცხო ვყვენით მღდელობისაგან, ვინაფთგან
არანმიდისა შეხებად სინმიდეთა არა უცთომე-
ლობა არს და მახლობელი იმრთისად მახლობელ
ცეცხლისა არს და უქმს, რაფთა ყოვლითურთ
ოქრო იყოს. **სოლო** არა კრულ ვყვენით და
არცა შევარუენენით, ნუ იყოფინ! არამედ ლი-
ტონთა ერისკაცთა თანა ზიარებად ფლობილ
ვყვენით, უკუეთუ ოდენ ამიერიფთგან მმარხველ
იყვენ სინმიდისა. **სა** ნაცვალად მათდა სხუანი
დავადგინენით, რომელთა ჰასაკისაგანცა და
საქმეთაგან აქუნდა წამებად და კეთილად გან-
ენუართნეს ჴორცნი დამორჩილებად სულისა.

2. **სა**მას თანა სულმოკლებადაცა ჴელთდა-
სხმათა ვითარცა უწესო და უკანონო დავჰ-
წსენით და განვანესეთ, რაფთა ამიერიფთგან არ-
ლარავინ იკადროს ქმნად თვნიერ, ვითარ-იგი

განანესებს კანონი, რაფთა ეპისკოპოსი ოც-
დაათხუთმეტისა წლისად, მღდელი ოცდაათი-
სა წლისად, დიაკონი ოცდახუთისა წლისად და
წიგნისმკითხველი რვისა წლისად ჴელთდასხმულ
იქმნებოდინ.

3. **სა**მას თანა სხუადაცა უწესო წესი ჴელ-
თდასხმათა დაწსნად განვარჩინეთ, ვითარცა
მასვე და ერთსა დღესა ჴელნი დაესხნეს ვისმე
წიგნისმკითხველად, კერძოდიაკონად, დია-
კონად და მღდელად, ანუ თუ ეპისკოპოსადცა,
რომელი-ესე უკუეთუ იქმნასლა სადა ამიერიფ-
გან, ჴელთდამსხმელი და ჴელთდასხმული ერ-
თბამად განიკუეთენენ მღდელობისაგან. **სა**მ-
ეთუ პირველად წიგნისმკითხველად და კერ-
ძოდიაკონად ოდენ ჯერ-არს ჴელთდასხმა და
ორისავე ამის ერთსა დღესა შესაძლებელ არს
ქმნად და მერმე დიაკონად. **სა** ვითარცა დაყ-
ვნეს დღენი დიაკონობასა შინა და ჰმსახუროს
მღდელთა არა მცირედთა დღეთა, მერმელა
მოიყვანონ მღდელობად. **სოლო** უკუეთუ ეპის-
კოპოსობად მომავალი იყოს, შემდგომად შვდთა
დღეთა ჟამისწირვისა მოიყვანონ ჴელთდასხმად
ეპისკოპოსობისა. **სა** ამას ვიტყვთ მათთვს, რო-
მელთა საჭირო რაფმე მიზეზი ასწრაფობდეს,
ხოლო რომელთა არცა ერთი რაფ აქუნდეს
სათანადო მიზეზი მასწრაფობელად, მათ წე-
ლიწადი და წელიწადნი დაყვენ თითოეულსა
ხარისხსა შინა და უფროსლა დიაკონობისასა,
ვინაფთგან თვნიერ დიაკონთა სიმრავლისა ვერ-
აფ მიიღებს შეუენიერებასა საეკლესიოთა წესთა-
განი. **სა**მისთვს ვამცნებთ ყოველთა ეპისკოპო-
სთა, რაფთა უფროსლა დიაკონთა განმრავლები-
სათვს მოლუაწე იყვენ ეკლესიათა შინა მათთა.
სოლო მონაზონთა, რომელნი მღდელობად და
ეპისკოპოსობად მომავალ იყვენ, პირველად
სრულიად მონაზუნად დიდითა სქემითა უბ-
რძანებთ განსრულებასა და ეგრეთლა მღდე-
ლობად მოსლვასა.

4. **სოლო** წესი ჴელთდასხმადთა სრულები-
სად ეგრეთ აღესრულებოდედ, ვითარცა ახალთა
შინა კურთხევათა ნეტარებით მოწსენებული-
სა მამისა **სოორგი შთანმიდელისათა** დაწერ-
ილ არს. **სა**გრეთვე კურთხევად ეკლესიისად და
დამყარებად საკურთხეველისად და წმიდა-ყო-
ფად იმერთმყოფელისა მიჰრონისად ეგრეთ
სრულ-იქმნებოდედ, ვითარცა მუნ შინა მოწსენ-
ებულ არს.

5. **სოლო** ქრთამისათვს და საფასისა, რო-
მელსა მიიღებენ ჴელთდამსხმელნი ჴელთდა-

სხმადთაგან, ზემოთგანისა წმიდათა მოციქულთა და მამათა მოცემისაებრ განჩინებად ვიკადრებთ ჩუენცა, რაათა მოისპოს ეგვეთარი იგი ეკლესიისაგან და აღიწოცოს მღდელობისაგან მაკურთხეველისა თვისა თანა, რომლისა 5 ქმნად ამიერიტგან ნულარამცა ვის უკადრებიეს, რაათა არა იგიცა შევსძინოთ, ვითარმედ შეიჩუენოს, ვითარცა **სუმონ მოგვ სეტრე** მოციქულისაგან(შეად.საქმ.8,9-20). **ნა** ნუმცა მიიღებენ რაათურით ნურარას ნუ ოდეს, ნუცა პირველ 10 ჯელთდასხმისა, ნუცა თვთ მას ჯელთდასხმასა შინა, ნუცა შემდგომად ჯელთდასხმისა, ნუცა ქრთამსა, ნუცა ძღუენსა, ნუცა ევლოგიასა, ნუცა კათოლიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიაკონთა და ხორეპისკოპოსთა, ნუცა 15 ეპისკოპოსნი დიაკონთაგან და მღდელთა და ხორეპისკოპოსთა, ნუცა რათ სხუათა სამღდელთასა დასისაგანთა, ანუ რომელთავე საეკლესიოთა მნეთაგან.

6. შერმეცა სამღდელთა ჭურჭელთა და 20 იმრთისადა შეწირულთა სინმიდეთათვს, რომელ არიან ბარძიმ-ფეშუემ-სამწერობელნი და ყოველივე უკლესიათადა შეწირული და ერთგზის იმრთისადა მიცემული ოქრო, ვეცხლი, თუალი, მარგალიტი, ჭიქა, სტავრა, ნაქსოვი, 25 სინი, რვალი, რკინა, ძელი, კეცი, ქვა. **ნ**მას განვაწესებთ შედგომითა წმიდათა კანონთათა, რაათა არავის ჯელ-ენიფოს ჯმარებად მისსა არარად, არცა ტყუეთა საწსრად, დალათუ ცუდადცა და უწმრად მდებარე იყვნენ და ფერჯითა დასათრგუნველად ისხნენ ეკლესიასა შინა და საჭურჭლესა მისსა. **ჲ**ოლო უკუეთუ ვინმე 30 იკადროს ამათგანისა რაჲსაცა გარეგნით მის ეკლესიისა და თვნიერ მისსა, ვითარ-იგი განწესებულ იყოს და ვითარსახედცა სამსახურად ეკლესიისა, ანუ საკურთხეველისა შექმნილ იყოს სხუად რადცა ჯმარებად, მოელოდეთ აქა უკუე ბაბილოვნელთა მეფისა **ჲალტასარის**(შეად. 35 დან.5,22-30) და **ნნანია** და **საპფირა**ს სასჯელსა(შეად.საქმ. 5,1-10), **ჲ**ოლო მუნ ცეცხლსა საუკუნესა განმზადებულსა ემშაკათვს და ანგელოზთა მისთათვს.

7. **ნ**მას თანა ესეცა მოვიწსენეთ, ვითარმედ თვნიერ ეკლესიისა და საკურთხეველისა არცა ნათლისცემად შესაძლებელ არს, არცა 45 გვრგვნთა კურთხევა, არცა მონაზუნისა ეპისტოლითა, გინა სქემითა კურთხევა და არცა მონაზონსა ხუცესსა გვრგვნთა კურთხევა ჯელენიფების, არცა ერისაგანსა მღდელსა

მონაზონისა კურთხევად.

8. **ჲ**ოლო შემდგომად გვრგვნთა კურთხევისა პირველთა და მეორეთა ცოლ-ქმართა წმიდათა საიდუმლოთა ზიარებად უწმს მას დლესა, რომელსა იკურთხნენ უეჭუელად, არა თუ 5 გარდარეულითა რაათმე ბილწებითა შებლალულ იყვნენ, დალათუ უზიარებლობითაცა განკანონებულ იყვნენ და მერმე აღსრულება კანონსა უზიარებლობისა მათისასა.

9. **ჲ**ოლო მეორეთა გვრგვნთა მაკურთხეველი ხუცესი სამხრობად ნუ მივალს მათ თანა, ნუცამცა მეორეთა ცოლ-ქმართა პირველნი 10 გვრგვნნი ეკურთხევიან. **ჲ**ოლო სხუებრ და არა ესრეთ მოქმედი ამათი ხუცესი უკუე განკუეთისა, **ჲ**ოლო ერისკაცი უზიარებლობისა თანამდებ-იყოს.

10. **ჲ**უალად ამასცა განვასაზღვრებთ, რაათა ამიერიტგან არლარა ეკურთხეოდინ გვრგვნნი ჩჩგლთა ქალ-ყრმათა, არამედ უკუეთუ 15 საჭიროდ რადმე იყოს მშობელთა მათდად, დაუწინდნენ იგინი ურთიერთას და, რაჟამს ჰასაკად მოვიდნენ ორნივე, მაშინ იქორწინნენ. **ნა** ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროსი ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა. **ჲ**ოლო ამის განჩინებისა დამკსნელი თანამდებ 20 იყავნ ზემოწსენებულისა მის განჩინებისა.

11. **ჲ**ათოლიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორეპისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდედ მღდელი ანუ 25 დიაკონი და შიშითა იმრთისადათა ემცნებოდედ მას უბიწოდ დაცვაჲ ყოველთავე საჭრისტეანოთა წესთაჲ, რაათა არარად მათგანი განსცეს ქრთამისათვს, არცა რაჲ განყიდოს ვეცხლად, ვითარცა **სუდა** **ოფალი**, რაათა არა შიშთვილიცა მისი დაიმკდროს. 35

12. შემდგომად ამათსა ამისიცა სათანადოდ ვჰგონეთ მოწსენებაჲ, ვინაჲთგან მოძღურად წოდებულთა მათ მონაზონთაჲ ფრიადი და აღურიცხუველი არს სიმრავლე და ერთსა 40 მონასტერსა შინა ხუთნი და ათნი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდაათნი იპოებიან, დიდი თუ იყოს მონასტერი, და მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი. **ნ**მისთვს განვაჩინებთ, რაათა ამიერიტგან დასცხრეს ესევეთარი ესე უწესობაჲ. **ნა** პირველად ამას განვასაზღვრებთ, რაათა უმღდელსა არა ჯელენიფებოდის განმკითხველობად სულთა, არათუ ეპისკოპოსი იყოს, ანუ მღდელი, ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკრვისა

და განწესისა ჯელმნიფებასა უკმს ქონებად და ეგრეთა განკითხვისა სულთაჲსა ჯელ-ყოფად. წმას თანა რაჲთა დიდთა მონასტერთა შინა ორ-ორი, ხოლო მცირეთა შინა თითოჲ ხოლო კმა იყოს მოძღუარი და უკუეთუ ვინმე ამას განჩინებასა გარდაჰედეს, უეჭუელად ესმეს მას, ვითარმედ ხოლო ჯდომისაგანთა მათ და ურჩთა ჭეშმარიტებისათა და მორჩილთა სიცრუვისათა – რისხვად და გულისწყრომად, ჭირი და ინროე-ბაჲ და შემდგომი.

13. ჩესი იგი, რომელსა კრებულთა დასხ-დომად უწესენ, ნულარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერითგან, ნუცა მონასტერთა შინა შექმნად საგაჭროთა ერის კრებათაჲ, ნუცამცა რაჲ სხუად სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი ქმ-ნილ არს მონასტერთა შინა ოდესცა, რაჲთა არა სალოცველთა მათ ადგილთა ქუბ ავაზაკთა შექმნითა სულთაცა თქუენთა საფარდულები საღმრთოჲსა სიტყჳსა მიერ დაიქცეს, ვითარცა მეკერმეთა მიერ ტაბლები(შეად.მთ.21,12-13), და წმიდათა მამათა და კრებათა მიერ განკ-ანონებისა თანამდებ იქმნეთ.

14. ღოლო ერთსა საკურთხეველსა და მასვე და ერთსა წინადაგებასა ზედა წმიდისა შესაწ-ირავისასა მრავალთა სულთათჳს მრავალთა მღდელთა მიერ ქმნად წმიდისა ჟამისწირვისაჲ უწესო არს და განგდებულ, რომელი-ესე ნუ-ლარამცა სადა ქმნილ არს. ოფროსლა თავ-ადსა საკურთხეველსა ზედა დიდისა ეკლესი-ისასა საეპისკოპოსოჲსა გინა მონასტრისასა ერთისა არავისთჳს წეს არს ჟამისწირვად არა ოდეს არცა ცოცხლისა, არცა მიცვალებული-სათჳს თჳნიერ აღაპთა და სულისა საჴსენებე-ლად განჩინებულთა დღეთაჲსა, არამედ მის ეკლესიისა მაშენებელთა და შემომწირველთა და ერთბამად ყოველთა სულთა ჴრისტიანე-თა ცოცხალთა და მიცვალებულთათჳს ჯერ-არს ჟამისწირვად. ღოლო ერთისა კაცისათჳს, ანუ ერთისა სულისათჳს ეგუტერთა სადმე შინა, ანუ შტოთა ეკლესიისათა ჯერ-არს თი-თოეულისა ხუცისაგან ჟამისწირვად.

15. ჴომელნიცა იმრთის მავნებელობითისა მის წვალებისაგან **ქაჩეცართაჲსა**, რომელ არი-ან **სომეხნი**, მართალსა და უზაკუველსა სარწ-მუნოებასა მოუჭდებოდინ, და წმიდასა კათო-ლიკე ᲀკლესიასა შეერთებოდინ და ბილწსა მას წვალებასა ერთბუნებიანთა და ერთისა ნებისა და ერთისა მოქმედებისა ღმრთეებისაგან და კაცებისა შეზავებულისა და არცა საღმრთო-

სა, არცა კაცობრივისა, არამედ შერეულისა რაჲსმე და უცხოჲსა ჴრისტეს ჭეშმარიტისა იმრთისა ჩუენისა ზედა სიჩქურით მეტყუ-ელთასა შეაჩუენებდენ, ესრეთ განვანესებთ მათთჳს, რაჲთა სრულიად ნათელ-სცემდენ ვითარცა წარმართსა, ვინაჲთგან სხუათაცა დიდთა ეკლესიათა ვჰპოვებთ მოქმედად ამის-სა, ვითარ-იგი არს საპატრიარქოჲ საყდარი **სწტიოქიისა** და ყოველნი მიმდგომნი მისნი

10 ᲀკლესიანი ყოვლისა აღმოსავალისანი.

16. ჴუალად განვანესებთ, რაჲთა არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელსა გინა წარმართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლენ, ვინაჲთგან ყოველი მა-რთლმადიდებელი ტაძარი არს იმრთისაჲ დამ-კვდრებულისა შის მიერ სულისა შისისა ჩუენ შორის, ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი, ანუ ყოვლად არა მადიდებელი ტაძარი არს ეშმაკისაჲ. ღოლო ვითარმედ არცა ერთი ზი-არებაჲ არს ტაძრისა იმრთისაჲ კერპთა თანა, ვითარ-იგი ბნელისაჲ ნათლისა თანა, მონამე არს საღმრთოჲ მოციქული. ღოლო რომელმან ამიერითგან იკადროსლა ქმნად ამათი, განიკან-ონოს იგი პირველთქუმულითა მით კანონითა.

17. ჴინაჲთგან ესეცა უწესოებაჲ მრავალთა მიერ აღსრულებულად გუესმა უფროსლა დიდ-თა ვიეთმე და წარჩინებულთა და არა ლიტონად კაცთაგან ქმნილად, რომელ არს კიდეს-კიდე და ერთგან კურთხევაჲ გვრგვნთაჲ ქორწინებით ერთჴორცთქმნადთა მეუღლეთაჲ, ვითარ-იგი ჰყოფენ უსჯულოებით დედაკაცისასა უკუე სხჳსა ვისმე უცხოჲსა მამაკაცისა თანა კურთხ-ევასა, ხოლო მამაკაცისასა მამაკაცისავე სხჳსა თანა, რომლისასა რამცა იყო სხუად უუწესოე-სი და უსაცინელესი, ანუ არა ყოვლითურთ მსგავს არსა **შარკიონის** მონაფეთა მიერ მკუდრისა წილ ნათლისცემასა ცოცხალისასა? რამეთუ ესე ერთგან კურთხეულნი მამაკაცი და დედაკაცი ნუუკუე შეირაცხნენ ნახევარ მემრუშედ ცოლ-ქმრად, ვინაჲთგან სხჳსაჲ იჴ-სენების სახელი და სხუად წარმოდგომილ არს მუნ. ღოლო ორთა მათ ერთგან კურთხეულ-თა მამაკაცთათჳს რაჲ ვინ მოიგონოს სახელი, გარნა თუ ვინმე ვრცელითა სიცილითა განბას-როს ესევითარი ესე სჯულისა და კეთილისა წესიერებისა ჩუენისა და კაცობრივისა ქცევისა და ჩუეულებისა გარეგანი უსჯულოებაჲ, რომ-ლისათჳს ამას განვასაზღვრებთ, რომელნიცა მოაქამდე ესრეთ კურთხეულნი ყოფილ არიან

და გარდასრულ არიან, იგინი შენდობილ არიან უმეცრებისათვის, ხოლო უკუეთუ ან სადმე იპოვნენ ვინმე ეგევითარნი, იგინი სჯულიერად ცოლ-ქმრად ნუმცა შერაცხილ არიან. წმიერიტგან კულა ნულარამცა ვისგან კადრებულ არს ქმნად ამისი და უკუეთუ იქმნას სადა, ოთხნი იგი კურთხეულნი და ორნი მაკურთხეველნი მათნი ზუცესნი ექუსნივე განიკანონნენ.

18. შერმეცა იმრთის მოძაგებულისა მის და იმრთის განმამწარებელისა, ცოდვათა უბილწისა საძაგელებისა **სოდომელთასა**, რომლისაჲ არა უწყით, თუ ვითარ შეეთესა იგი უბადრუკსა ამას ნათესავსა და სრულიად განაშორნა და უცხო ყვნა იმრთისაგან, ვიეთანაცა პოვა თავისა მისადრეკელი, ამას განვასაზღვრებთ სიტყვთა იმრთისაჲთა და სამოციქულოთა წმითა და მამობრივითა განჩინებითა: დაღათუ მრავალგზის ქმნილ არიან მრავალთა ნათესავთა მიერ მრავალნი და რიცხვსა მძლენი ცოდვანი, ვითარ-იგი მტერობანი, შურნი, სიძულილნი, კაცისკლვანი, მრუშებანი, ცრუფიცებანი და უკუანაჲსკენელი და თავი ყოველთა ბოროტთაჲ კერპთმსახურებაჲ და თაყუანისცემისა შეცვალებჲა ნამბადებელისაგან დაბადებულთა მიმართ, გარნა არცა ერთისა მათგანისათვის აღძრულ არს აღუძრველი ჴგი, ვითარცა თვთ იტყოდა **ნბრაჰამის** მიმართ, ვითარმედ – ღალადებაჲ **სოდომისა** და **სომორისა** მოიწია ჩემდა და გარდამოვყედ ხილვად, უკუეთუ ღალადებისაებრ მათისა არიან საქმენი მათნი, რომლისა შემდგომად იხილეთ, თუ რაჲ იქმნების და თუ ვითარ ნივთნი ესე სამსახუროდ კაცთათვის დაბადებულნი იმრთისაგან, წინაუკუმო ბუნებისა თვსისა, შესცვალებენ ბუნებითა ძალსა თვსსა და უცხოჲსა ცოდვისა აღსაჯოცვლად უცხოჲსა მოიპოვებენ მოქმედებასა, რამეთუ მარადის აღმართ მოძრავი და სუბუქი ბუნებაჲ ეთერისა ცეცხლისაჲ, ვითარცა ზრქელი რაჲმე და მძიმე დაღმართ ჰყოფს დამოძინებასა და სახედ მძაფრისა წვმისა საშინელებით მჩქეფროჲს აღრეული წუნწუბასა თანა მრისხანედ განსალევენელად უკეთურთა მათ სიბილწითა მრავლითა კაცთა. ღოლო წულილი და თხელი უფერული ბუნებაჲ ჰაერისაჲ, მიზეზი ცხოველთა აღმოფშვნიისა და სიცოცხლისაჲ სიზრქედ აღმურისა წმირისა და ფერად ჴელით საძიებელისა ბნელისაჲ და შემაშთობელად კუამლად სასწაულად რისხვისაჲ შესცვალებს თავსა თვსსა მათ ზედა.

წმათ თანა ქუეყანაჲ, მყარი და მტკიცე დამტკრთველი სიმძიმესა მას ზედა მდებარეთა გუამთასა ვერლარა იტკრთავს სიმედგრესა ბილწებათა მათთასა, არამედ პირველად შესძრავს საფუძველთა თვსთა და სიღრმით იატაკთა თვსთაჲთ აღმომდულარე ჰაერად აღმოიხუტამს სიღრმეთა საფუძველისა მათისა სიმტკიცეთასა და მიწად გარდამოიხუტამს სიმაღლეთა გოდოლ-ტაძრებისა მათისა სიმაგრეთასა. შერმე განაღებს ვიდრე მუნ ჟამადმდე განულებელსა პირსა და თანად ქალაქებითურთ და სახლებით შთანსთქამს არლარა კაცებასა, არამედ დამწურებს რასმე ძუალებსა და ოდესმე ყოფილთა კაცთა საწყალობელსა ნეშტებსა. ღოლო წყალი იგიცა უცხოჲდ იხილვების შეცვალებულად მათთვს და არლარა საშუებელად და საწმრად, არამედ სხუათა ნივთთაგან დაშთომილისა ნეშტისა მათისა აღსაჯოცვლად პირსა ზედა მათეულისა ქუეყანისასა, უფროჲსლა საფლავ მათდა ქმნილისა ჯოჯოხეთისა იხილვების მოძინებულად ეგოდენ შეცვალებული სხუათა წყალთაგან ბუნებითა, რაოდენ იგინი სხუათა კაცთა ჰმატდეს ბილწებისა გარდარეულებითა.

წმან უსჯულოებაჲმან **სსურასტანელთა** იგი უმრავლესთა ნაწილთა ქუეყანისათა დამპყრობელი მეფობაჲ ტყუედ წარუქცია **სპარსთა** და **შიდთა** და სრულიად აღმოჰფხურა ქუეყანით საჴსენებელი არა ხოლო მეფე და მძლავრი, არამედ კაც-ყოფისაცა მათისაჲ. წმან ცოდვამან დიდი იგი და ყოვლით კერძო ყოვლისა ქუეყანისაჲთა ჴმაგანსმენილი ნათესავი **სომეხთა** მეფობითურთ და მთავრობით მათით არა ოდენ დაამდაბლა და დაამწუა, არამედ სრულიად აღილო კაცთაგან სახელი მათი, რომელთაჲ ვერვინ პოოს დღეს ერთიცა მეფე ანუ მთავარი მქონებელი დაუმონებელისა თავისუფლებისაჲ, დაღათუ ყოველიცა ვინ პირი მიწისაჲ მოიხილოს. წმან ბილწებაჲმან **სპარსთა** იგი მაღალი და მარადის **სრომთა** მეფობისა მწდომი ფლობაჲ, მწეცის ბუნებათა ვიეთმე კაცთა ავაზაკურითა ზედამოსლვითა მიწადმდე დამდაბლებულ ყო და ვიდრე მოაქამდე მძლავრებისა მათისა მორჩილ ყო. ᴒსე არა უყნით, თუ ვინაჲ უკეთურებით შემოეხრწნა მოქალაქობასა ჴრისტეს მოსახელისაცა ერისასა, რამეთუ «რაჲ ზიარებაჲ იყო ბელიარისი ჴრისტეს თანა?» (2კორ.6,15) და ჴელსა უცხო-თესლთასა მიცემითა დასასრულ მახვლისა მათისა ქმნითა ნეშტნი ოდენლა დამიტევნა **სსრაჴლისანი**. ჴომელნი უკუეთუ

ვეგნეთლა მასვე უკეთურებასა ზედა, ჰ ჩემდა, დავიდუმო ძნელ სიტყუად, რომელი ყოველთადა ცხად არს, დაღაცათუ ჩუენ ვპრიდოთ.

ძმისთვს ვამცნებთ ყოველსა – დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღვდელთა და უმღვდლოთა, მონესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა და შუაკაცთა, ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა და ყოველსა პასაკსა განყენებად ამის ვნებისა უფროსლა საძაგელისა ბილწებისა. ზა ესრეთ დაუმტკიცებთ სახელითა ოფლისა ჩუენისა შესუ ღრისტესითა: ყოველმან სულმან ღრისტეანემან მართლმადიდებელმან ამათ სიტყუათა მსმენელმან, რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა არა იფმნას ბილწისა მის **სოდომურისა** ცოდვისაგან და არა ხოლო საქმით ქმნისა მისისა, არამედ რეცა ლაღობით ფერებისა და სიტყვთ თქუმი-სა რათაცა სამისოთა და მისთა დამსახველთა სიტყუათა და საქმეთაგან, უეჭუელად მოიწიოს მის ზედა ამას უკუე საწუთოსა საშინელი რადმე და ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამწდელი რისხვა მსგავსად წუნწუბასა თანა აღრეულისა მის **სოდომელთა** ცეცხლისა. ღოლო მუნ იგი მიმთუალველ ექმნეს მას, რომელი ვალს წი-

ნაშე პირსა ოფლისასა და შესწუავს გარემო მისსა მტერთა მისთა, ვინაფთგან სიყუარული ჯორცთად მტერობად არს იმრთისა და რომელმან განხრწნას ტაძარი იმრთისა, განხრწნეს იგიცა იმერთმან და ამას თანა და ჩუენგან, უღირსთა მონათა საღმრთოჲსა მონებისა ღირსქმნულთაჲსა, ჰ ჩუენდა არლარა კურთხევა, არამედ კდემად და მხილება დაიმკვდროს საუკუნო.

19. ღოლო ვინაფთგან მიზეზად ურთიერთსა პატივით თაყუანისცემისა ჩუენ შორის მყოფი ხატებად იმრთისაჲ აღსაარებულ და ქადაგებულ არს დიდთა მოძღუართა და მამათა ჩუენთაგან, ცხად არს, ვითარმედ თაყუანისმცემელი ხატისა იმრთისაჲ იმერთსა თაყუანის-სცემს მის მიერ, მაგინებელიცა სადმე ხატისა იმრთისაჲ იმერთსა აგინებს უეჭუელად, ვითარცა წმიდათა შორის **წიდი ღასილი** ესრეთ დასწერს ამას. ძმისთვს განვასაზღვრებთ, რაფთა ესეცა იმრთის შემანუხებელი და იმრთისა შეურაცხისმყოფელი ცოდვაჲ სრულიად მოისპოს ყოველისაგან ენისა და ნათესავისა ჩუენისა და რომელმან ამიერითგან შეაგინოსლა სული, გონება და პირი თჳსი უსახურიოთა გინებითა ზემონერილისა ამის, თანამდებ იყოს იგიცა განკანონებისა.

გეუმსა ბავითს მონაგონი წრსენი

ძმათდა მომართ რასა იტყვ, რასა სიბრძნის ჰმოყუარებ შენ, უფროსად ბრწყინვალეო თუ-ალო ყოველისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო, რომელი ეგე ჰაეროვან ხარ ვითარცა სამყაროდ ხილულისა სოფლისა შორის, საჩინო ვითარცა მზე ვარსკულავთა შორის, ბრწყინვალე ვითარცა ეთერი ნივთთა შორის, ნათლისფერ ვითარცა ელვად ღრუბელთა შორის, ცისკროვან ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის, ტკბილ ვითარცა არე ჟამთა შორის, იმრთის სახე, ვითარცა სიყუარული სათნოებათა შორის, გულისსათქუმელ ვითარცა ოქროჲ მიწათა შორის, ელვარე ვითარცა ჯაკინთი ქვათა შორის, მაღალ ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის, შუენიერ ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის, აღმატებულ ვითარცა სამოთხე ქუეყანისა შორის, ძლიერ ვითარცა ღომი მჭეცთა შორის, მტკიცე ვითარცა ანდამატი განუკუეთელთა შორის, სახელგანთქუმელ ვითარცა **ჩებროთ** გმირთა შორის, ახოვან ვითარცა **სო** წინამბრძოლთა შორის, მოშურნე ვითარცა **წინეზ**

მღვდელთა შორის, მწნე ვითარცა **სამფსონ** მსაჯულთა შორის, უბრძოლელ ვითარცა **სქილევ** **სლლენთა** შორის, ბრძენ ვითარცა **სოლომონ** მეფეთა შორის, მშვედ ვითარცა **წავით** ცხებულთა შორის, შურის-მეძიებელ ვითარცა **სოსია** შარავანდედთა შორის, უზარო ვითარცა **შაკედონელი** მფლობელთა შორის, განმადიდებელ ფლობისა ვითარცა **სვლსტოს** კეისართა შორის, კაცთმოყუარე ვითარცა ჩემი **სესუ** ღმერთთა შორის, ბუნებით იმერთი მაღლით იმერთქმნულთა შორის, მჭურვალე ვითარცა **სეტრე** მონაფეთა შორის, საყუარელ ვითარცა **სოანე** მეგობართა შორის, მკერცხლ ვითარცა **სავლე** მოციქულთა შორის, სახის დასაბამ უცთომელისა ღრისტეანობისა ვითარცა **წიდი ღოსტანტინე** თვთმპყრობელთა შორის, სიმტკიცე კეთილად მსახურებისა ვითარცა **წევდოსი** სკიპტრის მპყრობელთა შორის, სათნო-უჩნან ესენი მყუდროებასა შენსა? განსუენებულ არსა ამათ ზედა სიბოროტისა სულთაჲ მდევნელი **წავითიანი** სული

შენი? რომელნი-იგი ან ძღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთა სიმრავლისამან, რაათა შენ მიართუნე ესენი იმერთსა და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობისმოყუარე ოფალი, რომელ მოსწრაფებით შემოკრებად უბრძანე შენ და დიდისა ამისდა იმრთისა სათნოვსა წარმართებისა თანა შუამდგომელად იმრთისა მიმართ მოიგენ, ვითარცა საკუთარნი მონანი, რაათა რომელიმე იმრთის სახისა მღდელთმთავრობისა მიერ მახლობელ ექმნებოდის შენთვის იმერთსა, ხოლო რომელიმე მღდელშუენიერითა მეოხებითა შეესაკუთრებოდის ზამბადებელსა. სხუასა სულთქუჲმანი მოაქუნდენ, სხუასა – განდნობად ცრემლითა, სხუასა – ღამეყოველობითნი მღვდარებანი, სხუასა – ჯმელსარეცელობად, სხუასა – რაათურთით არარას ქონებად, კეისრისასა – ყოველსავე, იმრთისასა – მხოლოდ ჯორცთა ოდენ და მათცა მარხვითა განლელთა, სხუასა სიტყუად დაღათუ მდაბალი და უნდო, გარნა არავე უერმო, არცა უმუსიკელო მამზიდველ-ყოფად სმენისა. შმის თანა შემსგავსებულიცა ძალისა, ყოველთა ვედრება, ყოველთა ლიტანიობად, ყოველთა ერთჯმობად, ვითარმედ – **ზავით** კეთილად მსახურისა და იმრთივდაცვულისა მეფისა ჩუენისა მრავალმცა არიან წელიწადნი.

კეთილად მსახურისა და იმრთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა **ლიორგი** მეფეთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისა მრავალმცა არიან წელიწადნი.

კეთილად მსახურისა და იმრთისმოყუარისა დედოფლისა ჩუენისა **მართა** ავღუსტინაჲსნი მრავალმცა არიან წელიწადნი.

ზავით იმრთისმსახურისა და იმრთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა **ნფხაზთა** და **ქართველთა**, **ქანთა** და **ხახთა** თვთმპყრობელისა მრავალმცა არიან წელიწადნი.

ჩმიდისა დედოფლისა და იმრთივ სულიერისა დედისა ჩუენისა **შარიამ** მონაზონისა საუკუნომცა არს წესება.

სოვანე წმიდისა მთავარეპისკოპოსისა ჩუენისა კათოლიკოსისა და ყოვლისა საქართველოჲსა ყოვლად ღირსისა მამათმთავრისა მრავალმცა არიან წელიწადნი.

ჩმიდისა ბერისა და სულიერისა მამისა

ჩუენისა **ვსტრადი** მონაზონისა მრავალმცა არიან წელიწადნი.

იირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმიდისა ამისა ღრებისა ცნობილისა **ლიორგი** მონაზონისა და მნიგნობართა უხუცესისა მრავალმცა...

ყოვლად ღირსთა ღრებისა ამისა ყოველთა მამათა მღდელთმთავართა, მღდელთა და მონაზონთა მრავალმცა...

10 სჯულიერისა მოლუანისა **სრსენი** მონაზონისა **ხალიპოსელისა** მრავალმცა...

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან.

15 ყოველნიმცა მწვალებელნი შეჩუენებულ არიან.

კეთილად მსახურთა და მართლმადიდებელთა პირველადსრულეულთა სანატრელთა მეფეთა ჩუენთა საუკუნომცა არს წესება და კურთხევა მათი.

20 სანეტრელთა და წმიდათა კათოლიკოსთა და ნეტართა მღდელთმთავართა და მღდელთა საუკუნომცა...

საუკუნოვსა ნეტარებისა ღირსთა და დიდთა მნათობთა ჩუენთა **ფთვმი** და **ლიორგი შთანწიდელთა** საუკუნომცა...

25 იირსთა მამათა ჩუენთა **ზავით** **ბეღლისა** და **სტეფანე სანანოჲსძისა** საუკუნომცა...

ზაუსრულებელისა ნეტარებისა მკვდრთა ბერთა ჩუენთა **საბა სულაისძისა** და **ნტონი** **ბეღლისა** და **ფრემ შცირაჲსა** საუკუნომცა...

იირსებით მოწესენებულთა მამათა: **ფთვმი** **სრძელისა**, **სოანე** **ქეხუესძისა** შვილითურთ, **შიქაელ** **სუაჲსა** და **ლიორგი** **ყერისა** საუკუნომცა...

35 ზუალადცა ვიტყვთ: ყოველნიმცა მწვალებელნი შეჩუენებულ არიან.

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან.

ყოველთა მართლმადიდებელთა წელიწადნი მრავალ არიან.

40 ყოველთა მართლმადიდებელთა საუკუნომცა არს წესება.

ყოველნი მწვალებელნი საუკუნომცა შეჩუენებულ არიან.

45 ყოველთა მწვალებელთა საუკუნომცა არს წესება და დაუსრულებელი შეჩუენება.